სამშობლო

კვირა,
10 აპრილი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვე[illegible] 4 [illegible] ტებით 7 მ. წლიური ხელის მომწერთ [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გაგზავნონ. მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილ[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კაპიკით [illegible] ფასი: [illegible] 30 კაპ., უკან 20 კ. [illegible] ბეჭდვა თითოჯერ [illegible] 2 [illegible] 4 [illegible]

№ 330 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 330

ქრისტე აღსდგა!

პარასკევს, 8 აპრილს, გეგუთის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაისის მოქალაქე

იოსებ პაატას მე კოსტავა.

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უზომოდ დამწუხრებულნი — მეუღლე მისი ბარბალე ოქროპირის ასული კოსტავასი, ძმები: ივანე, ალექსი და ილია პაატას ძენი კოსტავანი, და პელაგო პაატას ასული შავგულიძისა, ცოლის ძმა — ვასილ ოქროპირის ძე შავგულიძე, ქვისლები — ილია გიორგის ძე მარდალეიშვილი, სერაფიონ გაბრიელის ძე ჭირაქაძე და ანდრო ალექსის ძე კაპანაძე; ცოლის დები — ნინო ხაზარაძისა, თებრონე მარდალეიშვილისა, ოლღა ჭირაქაძისა და ლეონილა კაპანაძისა პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 6 საათზე; გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 14 აპრილს, ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 11 აპრილიდან ნაჩვენები იქნება:

ზარბაზნები და ტყვიები, ანუ როგორ მონაწილეობას ღებულობენ ფრანგის ქალები სამშობლოს თავდაცვის საქმეში.

სურათი გადაღებულია ა. ნახბაურის ხელმძღვანელობით.

და ზღვამ ჩაყლაპა იგი, აღარ დაბრუნდება.

დასურათებული დრამა 3 ნაწ. ელიზე ევერის და მარია ბონარის მონაწილეობით. რის ერთი მეტად დამახასიათებელი ტრაგედია სადაც გამოხატულია, თუ როგორ დაიმონებს კაცს ვნება და სხვა

ონსი: ხუთშაბათიდან, 14 აპრილიდან: **მოწყალების და** თანამედროვე დრამა 3 მ. პატეს საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით **„კარაპუზი და სანიტარი“.** კომიკური.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

ორშაბათ, 11 აპრილიდან ნაჩვენები იქნება:

ზარბაზნები და ტყვიები, ანუ როგორ მონაწილეობას ღებულობენ ფრანგის ქალები სამშობლოს თავდაცვის საქმეში.

სურათი გადაღებულია ა. ნახბაურის ხელმძღვანელობით.

სიკვდილის გამოძახილი.

დრამა 4 ნაწილად. იტალიელ მსახიობთა მონაწილეობით: ოლგა ბენეტისი, ვიქტორია ბენეზისა და ემილიო გილნესი.

ანონსი: ხუთშაბათ, 14 აპრილს ნაჩვენები იქნება:

არიან ულამაზესი მშვენიერი ქალები

ლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: კაზანოვისა, რაბევსკისა, ობოლევსკისა და სვეტლოვისა

გულის რევმატიზმი კომიკური სურათი ლეონსას მონაწილეობით.

დგილების ფასი **„ამპირსა“** და **„რადიუმში“**: ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

7 აპრილი.

დასავლეთის ასპარეზი: იქსკიულის სიმაგრეთ არტილერია უშენდა. დრესვიატის ჩრდილოეთით საარტილერიო შეტაკებაა.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის რაიონში უკან დახეულ მტრის დევნის დროს ჩვენმა მცირე მზვერავმა რაზმმა პოდპორუჩიკ კოვალკოვის მეთაურობით დაატყვევა სტამბოლიდან ახლად მოსული 7 ოფიცერი და 190 ჯარის კაცი, ესენი ყველა ტრაპიზონის დასაცველად იყო გამოგზავნილი, ტრაპიზონში ჩვენ დავლათ დაგვრჩა 60 დიუმიანი ზარბაზანი. ქალაქი საომარ მოქმედებიდან არ დაზიანებულა, ოსმალო მცხოვრებნი ქალაქიდან გაიქცნენ, ქრისტიანი მცხოვრებნი თავის ადგილზე არიან და ჩვენს ქალაქში შესვლას სიხარულით მიეგებნენ. ბითლისის მიმართულებით ჩვენ სულ წინ მივიწევთ

ბრძოლის დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ ასკერები.

დასავლეთის ასპარეზი.

მძიმე და მსუბუქი არტილერია განუწყვეტლივ უშენდა იქსკიულის სიმაგრეთ. ჩვენმა არტილერიამ ჩააჩუმა გერმანელთა არტილერია. იაკობშტატის რაიონში საარტილერიო სროლაა

ოლიკის სამხრეთით მურავიცის ხაზზე მტერი ჩვენ თხრილებთან მოჭრას ლამობდა. მაგრამ უკუ ვაგდეთ.

გალიცია. პოპოვის რაიონში მტერი შემოტევას აწარმოებდა, მაგრამ უშედეგოთ

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის რაიონში ჩვენი წინსვლა გრძელდება. რუსეთის და საფრანგეთის ჯარს შორის სრული ძმობა განმტკიცდა რუსის ჯარის მარსელში მისვლით

— —

დანარჩენი დეპეშა იხილეთ მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბალკანეთში.

როგორც პეტროგრადიდან იტყობინებიან ფრაკიიდან ჩამოსულები ამბობენ რომ გერმანელები ფრაკია-დედაგაჩის ხაზზე გამალებით აგებენ სიმაგრეებს და საბრძოლველად ემზადებიან გერმანელებთან ერთად ოსმალნიც მოქმედებენ. ღამ სანგრებს თხრიან.

ჩეხელთა წინააღმდეგ.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ავსტრია ახალი კონსტიტუციის კანონპროექტს ამზადებს თურმე. ამ ახალი კონსტიტუციით გერმანელების უფლება გავლენას არც რამ მოემატება და არც დააკლდება: ის მხოლოთ ჩეხელთა წინააღმდეგ იქნება მიმართული.

სელის გატანა რუსეთიდან გერმან ისთვის.

დეპუტატებმა გაიგეს, რომ შვეციის ერთი ბანკთაგანი რუსეთში დიდძალ სელს ყიდულობს თურმე; ამდენი სელი კი, როგორც ცნობებიდან სჩანს, შვეციას არ სჭირდება; აქედან დეპუტატები ფიქრობენ რომ შვეციიდან რუსეთში ნაყიდი სელი საიდუმლოთ გერმანიაში გააქვთ, სადაც მას ასაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლათ ხმარობენ; დეპუტატებს განზრახვა აქვთ ზომები მიიღონ, რომ რუსეთიდან შვეციაში სელი აწი აღარ გაიტანონ.

ჰააზეს აზრი.

გერმანიის რეიხსტაგის ს. დ. ფრაქციის ყოფილი თავმჯდომარე, ახლა კი ახალი ს. დ. ფრაქციის მეთაური დეპ. ჰააზე ერთ გერმანულ გაზეთში აცხადებს, რომ ომის გაგრძელება გერმანიას და მის მოკავშირეებს დაღლის აუცილებლათ ეკონომიურ გაკოტრებამდე მიიყვანსო.

საბერძნეთში.

ამას წინათ ათინიდან იტყობინებოდნენ, რომ ვენიზელიოსმა (ყოფილი მთავარ მინისტრი) მთავრობაზე ახლა დიდი გავლენა მოიპოვაო. აქედან იმედი ჰქონდათ საბერძნეთი „მოკავშირეებს“ მხარეს დაიჭერდა; ახლა კი ათინიდანვე დეპეშით იუწყებიან: ვენიზელოსის მომხრეებს ატუსაღებენ, რადგან მათ სახელმწიფოს ღალატი ბრალდებათო.

ხმები ამერიკის გამოსვლაზე.

ლონდონის ერთი გაზეთი დაბეჯითებით სწერს, რომ გერმანიის წინააღმდეგ ამერიკის გამოსვლა აუცილებელიაო. ამ გაზეთის ცნობით შეერთებული შტატების მთავრობამ სამხედრო ფლოტს უკვე უბრძანა, რომ საომრათ მოემზადოს გაზეთი „ტაიმსი“ კი მკითხველთ აფრთხილებს და სწერს, რომ ამას ეჭვის თვალით შეხედონ.

მსოფლიო ომი.

(დღიური)

მდგომარეობა გარდამავალია.

კავკასიისა და ოსმალეთის ფრონტზე. რუსეთი შორს წავიდა აზრუმის შემდეგ ტრაპიზონის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს მხოლოთ იმით, რომ ამიერიდან შავზღვაზე მომქმედ რუსეთის ფლოტს მკვიდრი ბაზა ექნება, რომ ზღვის ნაპირის ჯარებს ყოველთვის შესაფერი დახმარება გაუწიოს და მასთან ანატოლიის ნაპირებთან არც ოსმალეთის და არც გერმანიის საზღვაო ძალები არ გააჭაჭანოს: ტრაპიზონის აღებით შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირები ამიერიდან მტრის თავდასხმისაგან სრულიათ უზრუნველყოფილია.

რუსეთისა და ავსტრია გერმანიის ფრონტზე. შეტევა თითქო შესწყდა: ორივე მხარემ იერიშები შეანელა და მხოლოდ არტილერიას ამოქმედებს. ახლა მეტს ინიციატივას ავსტრია იჩენს გალიციაში, სადაც იგი პაპოვის სერის უკანვე დაბრუნებას ცდილობს

საფრანგეთ გერმანიის ფრონტზედაც გაალმასებული ბრძოლა თითქო შენელდა: ვერდენთან გერმანელებმა იერიშები შეაჩერეს და ახლა მხოლოდ არტილერიას ამოქმედებენ; ამ გარემოებით ფრანგებმა ისარგებლეს და მდ. მაასის ორივე მხარეს შეტევა დაიწყეს: ზოგ ალაგას გერმანელები პოზიციებიდან კიდეც განდევნეს. ამავე დროს გერმანელები ბალკანეთის ფრონტზე საომრათ მზადებას შეუდგნენ. ეს ამბავი ძალების ახალ გადაჯგუფებას მოწმობს, რაც ამ დღეებში ახალი შეტევის დაწყებით უნდა გამოაშკარავდეს. სად იქნება ეს ახალი შეტევა, ჯერ ამის თქმა ყოვლად შეუძლებელია.

რუსეთის ჯარის ერთი რაზმი მარსელში მივიდა, რასაც მხოლოდ დემონსტრატიული მნიშვნელობა აქვს.

სხვა ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

საალდგომოდ.

1916 წლის წინად იესო ქრისტე ჰქადაგებდა კაცთა შორის ძმობას, ერთობასა და სიყვარულს.

ამასვე ჰქადაგებდნენ კიდევ უფრო ადრე ბერძენთა ფილოსოფოსნი უკანასკნელთა რომაელი მიმდევრები და სხ.

მაგრამ ბარბაროსთა შემოსევამ შეაჩერა ეს მიმართულება და სტოური ფილოსოფიისა და ჰუმანური ქრისტიანობის წილ — ფანატიზმი გაამეფა.

განახლების ხანამ, რომელიც დაიწყო ჯერ იტალიაში უკვე მეთორმეტე საუკუნიდან და შემდეგ თანდათან მოეფინა მთელ ევროპას, განათავისუფლა კაცი ფანატიზმის შემავიწროებელი მსოფლმხედველობიდან.

მეთექვსმეტე საუკუნიდან რეფორმაციამ საუკუნოდ დაასამარა რომის პაპის ავტორიტეტი და გზა გაუწალდა სინიდისისა და რწმენის თავისუფლებას. და კონტრრეფორმაციამ მიუხედავად საშინელი დევნისა და სისხლის ღვრისა ვერ მოჰკლა ადამიანში მიდრეკილება ჭეშმარიტებისადმი.

მეჩვიდმეტე საუკუნემ მოიმკო ის, რაც ჰუმანიზმისა და რეფორმაციის ხანამ დასთესა, და უდიდესი მეცნიერული აღმოჩენანი შესძინა კაცობრიობას.

მეთვრამეტე საუკუნე წარმოადგენს განათლებისა და ახალ პოლიტიკურ და ეკონომიურ იდეათა შექმნის ხანას. იბადება იდეა ადამიანის განთავისუფლებისა პოლიტიკურისა და ეკონომიური შემავიწროებელი ჩარჩოებისაგან.

საფრანგეთის დიდი რევოლუცია, რომელიც ამ იდეის განხორციელებას წარმოადგენს, არის წინამორბედი ახალი ხანისა.

და დღეს უკვე აღიარებულია პიროვნების თავისუფლებისა და კერძო ინიციატივისა, თვითმოქმედების აუცილებლობა.

მაშასადამე, კაცობრიობამ პიროვნების სრული განთავისუფლების ნახევარი გზა უკვე განვლო.

დარჩა კიდევ გადასაწყვეტი ეროვნებათა ურთიერთობის დიდი საკითხი.

კაცობრიობამ უკვე მოიშორა თავიდან ინკვიზიციის კოცონები, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი საერთაშორისო ომს. უეჭველია კი, რომ, თუ კი ინკვიზიცია ჩაილურის წყალს ჩაბარდა, ომსაც იგივე ბედი მოელის ვინ იცის, შეიძლება უკანასკნელი ომის მოწმენიცა ვართ?!

დიაღ! თანდათან მწიფდება იმის შეგნება, რომ ომი — ძველი დროის ნაშთია და კაცობრიობას უმისოდაც შეუძლია მოაწესრიგოს საერთაშორისო ურთიერთობა.

მართლაც! ქვეყანა მდიდარია და ნაყოფიერი და ერთი ნაჭერი მიწისთვის ბრძოლა უაზრობაა. მეორე მხრით ერთი ერის მიერ სხვათა ჩაგვრა არა თუ ჩაგრულთათვის, არამედ მჩაგვრელთათვისაც კი საზიანოა

ეს აზრი თანდათან პოულობს ნიადაგს და დღევანდელი საშინელი სისხლის ღვრა, უეჭველია, ხელს შეუწყობს დააჩქარებს მის დამწიფებას.

დღეს კი, რადგან ჯერ კიდევ ერთი ერი მეორეს განადგურებას უქადის, ბრძოლა მოძალადე ერთა წინააღმდეგ აუცილებელია. და ჩვენი გმირი მოძმენი, რომელნიც ჩვენთვის ბრძოლის ველზე სისხლსა ღვრიან,

მახარობელნი არიან მომავალი საერთაშორისო ძმობისა, ერთობისა და სიყვარულისა. მათმა მამაცობამ იხსნა განსაცდელისაგან საქართველო და ჩაუყარა საფუძველი ჩვენს მომავალ ეროვნულ უფლებათ.

ვულოცავ მათ აღდგომის დღესასწაულს იცოდენ, რომ მათი წმინდა სისხლის თვითეული წვეთი სამშობლოს კეთილდღეობის აღდგენას ეწირება სხვერპლად.

ვასილ წერეთელი.

სადღეისო.

იმ დროს, როდესაც ქვეყნად უაღრესი ჩაგვრა და უსამართლობა გამეფდა; იმ დროს, როდესაც ძლიერმა ძმამ უძლური დაიმონა და მასზე ბატონობა მოისურვა უბედურებაში ჩავარდნილ კაცობრიობას განსაახლებლადა და აღმადგენლად მოევლინა ქრისტე — შვილი რომაელების მიერ გათელილ და ათასგვარად განაწამებ ურიასტანისა

ქრისტე ქადაგებდა, დიად სიკეთეს მისი სურვილი იყო სამყაროში განმტკიცება თანასწორ ცხოვრებისა და ძმობა-ერთობა სიყვარულისა

ფეხ-ქვეშ გათელილი მონები სიხარულით ცას ეწივნენ. ყოველი ადამიანი დარწმუნებული იყო, რომ მტრობა სიძულვილი ჩქარა გაჰქრებოდა და ქვეყნად განახლების სანეტარო სიო დაჰბერავდა.

ბატონობისა და ჩაგვრა-ტანჯვის მომხრე ნაწილმა ხალხისამ თანასწორობის მქადაგებელსა და კაცობრიობის საუკეთესო მოსარჩლე მასწავლებელს ქრისტეს, სასიკვდილო განაჩენი წაუკითხა

იგი გაასამართლა მებატონე რომის იმპერიის ერთ ერთმა დიდმა მოხელეთაგანმა და ხალხისადმი მოსარჩლეობის კეთილ მსახურებისთვის ჯვარცმა მიუსაჯა.

უსაზღვრო იყო ამ დროს გოდება დამარცხებულ ჩაგრულთა, მხოლოდ უსაზღვრო სიხარული გამარჯვებულ მჩაგვრელთა

გამარჯვებული ფარისევლები დარწმუნდენ, რომ მათი მტერი გოლგოთაზე წამებით სამუდამოთ მოჰკლეს, მაგრამ ძლიერ მოსტყუვდენ.

გავიდა ხანი და ქრისტე მეორეთ მოევლინა ქვეყანას. მისი მოძღვრება ელვის სისწრაფით მოედო ხალხს, ყოველის ჩაგრულის გულში ჩაიჭრა და იმედი მოუვლინა.

ვერც ფარისევლებმა უარყვეს ქრისტე ისინიც კი იძულებული შეიქნენ ქრისტეს წინაშე მუხლი მოედრიკათ

დიაღ! გამარჯვებული — უსამართლობა ყოველთვის ვერ იბატონებს ერთხელაც იქნება იმ ხავსმოდებული ბურჯს, სადაც მეფობს მტრობისა და შურის და მჩაგვრელობის ძალა, მრისხანედ მეხი დაეცემა, დაანგრევს და აი, ამ ნანგრევებზე კაცობრიობა იხილავს ნამდვილ ქრისტეს, გა

ნახლებულ ქვეყანას, განახლებულ კაცობრიობას.

დღეს კი მეტად შეუფერებელ და საბედისწერო დროში გვიხდება ქრისტეს აღდგომის დღესასწაული.

კაცობრიობის უმეტესი ნაწილი ბრძოლის ველზე გასულა და იქ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს აწარმოებს. ძმა ძმაზე ამხედრებულა, სისხლის ლაქა სცხია ყველაფერს.

იმ დროს, როდესაც, ჩვენ აქ ვაპირებთ სააღდგომო ზეიმის გადახდას, იმ დროს ჩვენი ძმა, ან ახლობელი, იქ, შორს ცხარე ბრძოლის შემდეგ სისხლიდან იცლება.

დიახ, მთელ სამყაროში გულშემზარავი გლოვაა.

გავამხნევოთ ჩვენი ტანჯული ძმები და აქედან ქართულად შევსძახოთ ქრისტე აღსდგა!

არ. დი.

გერმის დეპეშები.

ყოვლად სამღვდელო გიორგიმ, ეპისკოპოსმა იმერეთისამ, თბილისიდან მიიღო შემდეგი უმაღლესი დეპეშა:

გულის სიღრმიდან გმადლობთ თქვენ, მეუფეო, და თქვენს სამწყსოს მადლობისათვის კავკასიის სახელოვან ჯარის მიერ ტრაპეზუნდის აღების გამო. ძლიერი სულითა და ყველა ხალხისაგან ლოცვა-კურთხეული გამხნევებული ჯარი ჩვენი მხნედა კვლავ შეიმოსავს დაფნით სასახელოდ მეფისა და რუსეთისა

გენერალ ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

ეს დეპეშა პასუხია იმ შემდეგი დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა მეფის ნაცვალს ყოვლად სამღვდელო გიორგიმ ქუთაისიდან.

მრავალ რიცხოვან მლოცველთა თანდასწრებით გადავიხადე რა სამადლობელი პარაკლისი და აღვავლინეთ რა მხურვალე ლოცვა წინაშე უფლისა ჩვენისა, რომელმაც კვლავ მოგვანიჭა ახალი გამარჯვება მტერთა ზედა, ჩემისა და ჩემის სამწყსოსა სახელით მოგესალმებით, თქვენო იმპერატორებითო უმაღლესობავ, თქვენის უძლეველის ჯარების მიერ აღებისა გამო ტრაპიზუნდისა, ამ საქართველოს ლაზისტანის დედა ქალაქისა. ხმალმა თქვენმა დაასრულა შემოერთება ქართველ ტომთა მფარველობისა ქვეშე რუსეთის სკიპტრისა. მიწა-წყალი თამარის სამეფოს ტრაპიზუნდის იმპერიისა თქვენის მეოხებით დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. დიდება და სახელი კავკასიის მხედრობას, დიდება და სახელი მის დიდ სარდალსაც!

ეპისკოპოსი იმერეთის **გიორგი.**

რედაქციისაგან ამ ტელეგრამას ლოღიკური კავშირი აქვს იმ სიტყვასთან, რომლითაც ყოვლად სამღვდელო გიორგიმ წარმოთქვა წარსულ წელს ქუთაისის საკათედრო ტაძარში მეფის ნაცვლის, მათი უმაღლესობის დიდ მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ყოფნის დროს და რომელი სიტყვაც თავის დროზე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. სიტყვაში ყოვ. სამღვდელომ მოახსენა: უფალმა თქვენს მამულს დაავალა ლაზისტანის და კაპადოკიის დაბრუნება მათ სამშობლო საქართველოსათვის. ტელეგრამაში ულოცავს მათ უმაღლესობას წინასწარ სიტყვების ასრულებას.

ახალი კათედრა.

აჭარა და ლაზისტანი ქართველი ერის ნამდვილი აკვანია. დროთა ვითარებამ გადალახა საქართველოს ტერიტორიის საზღვრები, რის გამოც ეს ნამდვილი ბუდე ჩვენი ძველი ისტორიული ცხოვრებისა აინგრა და სხვა სახე მიიღო. აჭარა ლაზისტანში შენახულია ქართული ნაშთები, რომლებზედაც ცხადათ არის აღბეჭდილი საქართველოს უპირველესი ხანის დიდება. ამათი გამომზეურება და გაშუქება ბევრ საინტერესო ახალ ცნობას შეიტანს სამშობლო ისტორიაში. მართალია, მაჰმადიანობის გავლენის ქვეშ იქ ბევრი რამ შეიცვალა და გადაგვარდა, მაგრამ თვით ფუძე ქართული ეროვნებისა მიმალულად არსებობს და თუ გარემოებამ ხელი შეუწყო ყოველივე მივიწყებული აღდგება

დღევანდელმა ომმა ბევრი საყურადღებო კითხვები წამოაყენა და მომავალს გადასაწყვეტათ დაუყენა. ეჭვი არ არის, რომ ტერიტორიისა და ეროვნების შესახებ არსებითი ხასიათის საკითხები დღეს ახალ სტადიაში შედის. რუსეთის მთავრობამ გადასწყვიტა აჭარა ლაზისტანში ცალკე საეპისკოპოსო კათედრა დაარსოს. ამასთანავე მიღებულია ცნობა, რომ ახალ კათედრაზე არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია) დაინიშნოს ეპისკოპოსათ.

ახალი კათედრის დაარსებას და ცალკე არქიელის დანიშვნას მიზნად აქვს მართმადიდებელი ქრისტიანობის აღდგენა და განმტკიცება იმ მხარეში. შესაძლებელია ამ განზრახვას კარგი შედეგი მოჰყვეს, მაგრამ ისიც შეიძლება, რომ საქმე ცუდად წავიდეს —ეს სავსებით დამოკიდებულია ტაქტიკაზე. საქმე ისაა, რომ სარწმუნოების საკითხი მეტად ფაქიზი და ნაზი რამაა. მაჰმადიანთა რწმენას დღე დღეობით ფანატიზმის ხასიათი აქვს და ამგვარ პირობებში ხშირად კეთილი განზრახვა სამწუხაროდ თავდება. ეროვნული საკითხი გადაბმულია სკოლისა და ეკლესიის საკითხზე, ასე რომ დიდი სიფხიზლე და წინდახედულებაა საჭირო, რომ სკოლამ და ეკლესიამ ნამდვილი სინათლე შეიტანოს და საზარალო გამწვავება არ გამოიწვიოს

არქიმანდრიტ ამბროსის კანდიდატურა ძლიერ შესაფერია: ეს სავსებით ეთანხმება მიტროპოლიტ პიტირიმის შეხედულებას აჭარლების ცხოვრებაზე, რაც კარგად გამოაშკარავდა მეფის ბძანებით მომხდარ გამოძიების დროს. მ. ამბროსი აფხაზეთში ნამსახურია, მან კარგად იცის მაჰმადიანთა ხნე ჩვეულება, საერთოდ მისიონერულ მოღვაწეობას ის აზრიანათ აწარმოებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მოწინავე წრეები ფრთხილად უნდა მოეკიდონ აჭარა-ლაზისტანში ქრისტიანობის და სწავლა განათლების გავრცელების საქმეს, რომ ამან ზიანი არ მოუტანოს ეროვნულ საკითხს. საჭიროა სარწმუნოების სფეროში თავისუფლება ნათლად გამოსჩანდეს და სკოლის გარშემო ქართული სული ტრიალობდეს. ამაზე საჭიროა მოლაპარაკება და განსაზღვრული წინდახედული პროგრამის შემუშავება.*)

ტრ. ჯაფარიძე.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

„სამშობლოს“ მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 14 აპრილს.

ქუთაისის „გუბერნატორ-გრაფი ა. ნ. მედოვაჰა ულოცავს ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომას მისდამი რწმუნებულ გუბერნიაში ყველა მოხელეს და სთხოვს თავს ნუ შეიწუხებენ ოფიციალურის მილოცვით.

* ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში შეწყდა მუშაობა 14 აპრილამდი. აქაურ კანცელარიის დაბალ მოსამსახურეთ გამგეობამ 3000 მან. დაურიგა სააღდგომო საჩუქრად.

◆ ამ ჟამად ქუთაისს ყოველ დღიურ რუსულ გაზეთ „პეტ. ვესტ“ მოუმატეს ერთი კაპიკი.

სამშაბათს, 12 აპრილს, ადგილობრივ სამხედრო კლუბში გაიმართება საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება ქუთ. ქალთა სახაზინო გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრის სასარგებლოდ.

ორშაბათს,, 11 აპრილს, ქუთაისის საზოგადო საკრებულოში გაიმართება მოწაფეთა საცეკვაო საღამო. მოწაფეები ვალდებული არიან ფორმაში იყვნენ გამოწყობილი

* სტამბიდან გამოვიდა და ქუთათურ ხელის მომწერლებს დაურიგდა ჟურნალი „ცხოვრება“ (მორიგი № 7 ჟურნალი ჩვეულებრივ შინაარსისაა.

რედაქციამ მიიღო ახლად გამოცემული რუსულ ენაზე ლექსები ნინო ჩარექოვისა: „მწვანე ქუთაისი“ ლექსები მშვენიერ ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 62 გვერდს და ღირს ათი შაური.

◆ ჟურნალ გაზეთების კანტორამ „იმერეთმა“ მიიღო მარტის „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის № 5 და 6 და მოზრდილთათვის № 3.

კანტორას არ მიუღია პარასკევს თფილისის გაზეთები „თან. აზრი“, „საქართველო“ და „ეშმაკის მათრახი“, ხოლო „სახ. ფურც.“ და „ზაქ. რეჩი“ მიიღო პარასკევს, და შაბათს.

* საოლქო სასამართლოს მიწის მზომელთა განყოფილების მოსამსახურეთ მისცეს სააღდგომო საჩუქარი.

* რედაქციამ მიიღო პირველი ნომერი სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ყოველკვირეულ ჟურნალის „სკოლა და ოჯახი“. ეს ჟურნალი გამოდის ვლ. ნაცვლიშვილის რედაქტორობით ქ. ქუთაისში. რედაქცია სიამოვნებით ეგებება ამ ჟურნალის გამოსვლას და ეცდება ამ ცოტა ხანში განსაკუთრებული წერილი უძღვნას.

ხატის წინ.

(სააღდგომო ფიქრები).

— ესეც ასე! ესეც გავათავე! ყველაფერი რიგზეა. ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი აცისკროვნებს.

ოჯახი მილაგებულია. ყველგან, ყველაფერი თავის ადგას დევს! სიწმინდე, სიფაქიზე, წესიერება მეფობს ყველგან და მხიარულობს ყველაფერი ხარბათ ეწაფება სიცოცხლის სიტკბოებას, სწუწნის, ეთაყვანება, ესიყვარულება მას.

ყველაფერი თვალთ-მაქცურად გიცქერსთ გეარშიყება, თითქო გეუბნებათ:

— შემოგვხედეთ! დასტკბით ჩვენით, ისიამოვნეთ!

კარი გაუღეთ კარ-ჩაკეტილ გულს, დახურულ გრძნობებს, მხიარულებას!!! მიეცით მათ თავისუფლება!

გაშალეთ ფრთები!

ინავარდონ-იცურონ უფსკრულში, ზურმუხტ სივრცეში!

დასტკბენ სიცოცხლით, გამოსწოვონ მას სიტკბოება!

წამია ჩვენი სიცოცხლე!

წამითვე თავდება სიტკბოებაცო!

ვეუბნება ყველგან, შინ თუ გარეთ, მომხიბლავი სილამაზე, სიკეკლუცე, ბუნების სიმშვენიერე!..

მაგრამ, მმ

ძალით სიყვარული ან სიხარული სად გაგონილა? გრძნობის დაკვეთა განა შეიძლება, ან მომხდარა სადმე?! სიხარული განხორციელებაა შინაგანის განწყობილებისა, შეიცვლება ეს სულიერი სიდუხჭირე— შეიცვლება ადამიანის მდგომარეობაც სიხარულიც ხომ იმ წამს იქ გაჩნდება, გააშუქებს ამ გრძნობას თავ ქურ პირმცინარე სხივით ღიმილ მთლად შეკრულ-შეჯ დროზე, თვითონ, ვა ნება ჯაჭვები და [illegible]?!

მაგრამ ესეც ხომ ჯერ შორს არის, შო არის. შორს ჩვენგან?!

ამის სიახლოვის ნიშნებსაც ხომ ვხედავთ ჯერ, ამ დროებით?! მაშ, უ ჯერ ჩვენგან მხიარულებავ, გულის ქ წილო, ენის აღდგომავ! შორს, გუ დილო კისკის-სიცილო, ფრთებ გა ლო, სამუდამოთ აშლილო გრძნობავ!!

სთქვა თავისთვის ქალბატონმა თავ და ღვთის მშობლის ხატს წმინდა სან ლი აუნთო,..

ამ გვარ შრომა ფიქრებში დრო შე ჩნევლად, თურმე, გასულიყო. ღამის თორ მეტი საათი იქნებოდა.

ქალაქის ეკლესიებში მორთეს ზარ ზუზუნ-გუგუნი.

აღდგომის ცხოველ-მყოფელი, ნათე სხივი კუნაპეტ ღამეს მედგრათ ამსხვ სასიამოვნო გუგუნი გაისმოდა ჰაერ ერთი ეკლესია მეორეს ეჯიბრებოდა ქუჩები. ოჯახები ყველგან კიცინობ ხმაურობდა, ფაცი-ფუცობდა.

ერთი მეორეს უძახოდენ, ეკლესია წასასვლელად ემზადებოდა

მთელი ბუნება სიცოცხლე იყო, ყვე გან სიყვარულს, სიხარულს უხვად ჰფე და, ყველგან ფანტავდა...

— ოოხ! სიყმაწვილევ!

ოოხ, ნორჩო, უდარდელო სიც ხლევ!

რა კარგი ხარ?! რა გემრიელია შე დატკბობა, შენი ყნოსვა, გულში ხ ნება, კოცნა, ალერსი?!

კიდევ წაილაპარაკა თავისთვის ლომ და ბავშვები ეკლესიაში წასასვლე ლად გამოაწყო..

— წადით! წადით, შვილებო!

შეავედრეთ ღმერთს თქვენი ქვეყანა თქვენი სამშობლო საყვარელი მამა! აოხრებას, აწიოკებას გადაგვარჩინოს მტრისგან უვნებელი შინ დაგვიბრუნოს

თქვენ უმანკო ხართ! თქვენი ლოც უმანკოა და გულწრფელი, ეგებ ღმერ მაც გისმინოსთ, მოწყალების თვალ გადმოგვხედოს?!

წადით, წადით, დედა გენაცვალოს! ილოცეთ, შეავედრეთ ღმერთს ჩვენ გაჭირვება, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა!

კიდევ უთხრა ბავშვებს.. ყველა ახ ტანისამოსში გამოწყობილი ეკლესიაშ გაისტუმრა, თვითონ კი ღვთისმშობლის ხატის წინ დაიჩოქა.

თვალები ზეცისაკენ აღაპყრო, ხელებ გულზე დაიწყო და ტირილით ლოცვა შეუდგა:

— ღვთისმშობელო! ყოვლად ძლი ერო, მოწყალეო ჩვენო მფარველო.

დღეს აღდგომაა. და მიიღე ჩვენი თხოვ ნა, ჩვენი ვედრება!

მიეც ჩვენს მხარეს, შენს წილად ხვედ რილს, ძალი ძლიერი,

საიდუმლო მოწაფე.

(ნათარგმნი რუსულიდან).

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 329.)

ამავე დღეს, ვიდრე იესოს საქმე გადაწყდებოდა, პილატე თავისი ცოლით, და ნიკოდიმოსი ერთად იყვნენ, ნიკოდიმოსი მოსულიყო პილატესთან საიდუმლო მოხსენებით. მათ შორის ბაასი გაიმართა. ბაასიდან სჩანდა, რომ ნიკოდიმოსს რაღაც საიდუმლო საქმე ეხებოდა; შეშინებულივით მუსაიფობდა. სჩანდა, რომ ფარისეველ ნიკოდიმოსს ერიდებოდა ცხადათ გამოეთქვა თავისი აზრი სინედრიონზე, რომლისაც ერთი გამგებელთაგანი იყო

— ისინი აჯანყებენ ხალხს, — ჩუმათ ამბობდა ნიკოდიმოსი და თუ შენ, მმართველი, არ მოსპობ ხალხის მღელვარებას, — ისინი დაღუპვენ ამ მართალ კაცს.

— ნუ დაღუპავ, ნუ დაღუპავ, პილატე, ამ მართალ კაცს, — იმეორებდა პილატეს ცოლიც.

— ნუ ივიწყებ ჩემ სიზმარს, თუ სისხლს უბრალოდ დაღვრი, თვითონ შენც დაიღუპები

— მე არ მიფიქრია მისი სიკვდილით დასჯა, — უპასუხა პილატემ, მაგრამ თვითონ შენ, ნიკოდიმოს, მეუბნები: ხალხის აღელვება მოსპეთ, რომელსაც სინედრიონი აქეზებსო. აი, შენ უფროს კაცთაგანი ხარ, რათ არ ეტყვი ებრაელებს: შეაჩერონ თავისი გაბრაზებული სიბოროტე! შენც მართლად სთვლი იმ კაცს და ჩემი მეუღლეც. მე კი ჩემდა თავად არ ვიცი, მართალია ის, თუ არა, მაგრამ უეჭველია, რომ იგი უვნებელია რომისა და კეისრისთვისაც რათ ჩერდები, შეაჩერონ სინედრიონი, რომ აგრე უწყალოდ და გაბოროტებით არ სდევნიდენ ამ საბრალო კაცს. შეშინებულმა ნიკოდიმოსმა პილატეს თვალი თვალში გაუყარა:

— მე? შემიძლია განა, შევებრძოლო სინედრიონს! სინედრიონი სამუდამოდ მომსპობს. შენ მმართველი ხარ შენ კი გაქვს უფლება და ძალაც. — შენ გყავს ჯარი.

— პილატე, შენ უნდა გადაარჩინო ის კაცი. ნუ დაღვრი, პილატე, მართლის სისხლს. შენც დაიღუპები და შენი სულიც დაიღუპება, — უთხრა ცოლმა.

ნუ დაღვრი სისხლსო! შენც მასვე მეუბნები, რასაც იროდე მეუბნებოდა. მაგრამ იროდემ მე ის უკანვე გამომიგზავნა. მას რა ენაღვლება, მე უნდა ვიმტვრიო თავი. ვსთქვათ, მაქვს ძალა, მყავს ჯარი, კარგი და პატიოსანი: მე რომ ის გავუშვა, ისინი ხომ ქვებით ჩაჰქოლავენ მას. ხალხი გაბოროტებულია კაიაფას რით შეაჩერებს ვინმე, ის ცოფიანი მგელია. ის არ დაწყნარდება, ვიდრე იმ გალილეველის სისხლით ჯვარი არ შეიღებება.

— პასექის დროს, შენ გაქვს უფლება, ერთი პატიმარი განათავისუფლო. გაანთავისუფლე ის საწყალი, — ეს შენ შეგიძლია, — დასძინა ნიკოდიმოსმა.

— მართლაც. რისი გეშინია? ჰკითხა ცოლმა.

— რისი გეშინიაო? რისი მეშინია? აღელვებით წამოიძახა პილატემ. ნიკოდიმოსსაც ხომ ეშინია? რისთვის? იმიტომ, რომ იცის, როგორ უნდა მოიქცეს, როცა მას მგელთა ხრო შემოსევია.

— მე არც კეისრის გამგე და არც მისი მმართველი არა ვარ, განგებ უპასუხა ნიკოდიმოსმა ასეთი კითხვის თავიდან ასაცილებლად

— მართალია, მე კეისრის მოადგილეც ვარ და მისი მმართველიც, და გამოცდილებით ვიცი, თუ რა არის მმართველობა ამისთანა ხალხს, როგორც წყეული ებრაელებია რომელთა შორისაც განუწყვეტელი შუღლია, შეთქმულობა, მტრობა ფარული სიბოროტე, სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა, ქინიანობა, მექრთამეობა, გონების სიბრმავე, განუწყვეტელი შორის ძიება, სადაც მწიგნობარნი და მღვდელნი სულ დაბეზღებაზე ფიქრობენ, ხალხს აჯანყებენ. კარგად ვიცი ყოველივე ეს აი, იცხოვრე აქ, განაგე აქაურობა, კარგი განწყობილება იქონიე ამ ხალხთან, რომისა და მთელი კაცობრიობის მტრებთან, გარდა ებრაელთა.

— სცდები, მაგრე რომ ლაპარაკობ — ყველა ებრაელზე, უპასუხა ნიკოდიმოსმა: ყველა მაგისთანა არ არის, შენ რომ ახაგებ. განა დავითის შთამომავლობიდან არ არის ამ ქვეყნად მოსული ეს მართალი კაცი!

— მართალი კაცი' მესამეჯერ ამბობ ამ სიტყვას მართალი კაციო! .. აღელვებით გაიძახოდა პილატე: შენ გრწამს ის? რათ არ შესწირავ მისთვის შენს თავს? რათ არ მისდევ მას იმ თორმეტი მოწაფესავით? მაგრამ ერთმა მათგანმა კიდეც მიჰყიდა ის სინედრიონს სინედრიონს აქვს ფული, შენც იქ ზიხარ და შენცა გაქვს ფული. რატომ შენ კი არ მისდევ მართალ კაცს! რისთვის? იმიტომ, რომ იმას მხოლოდ ისინი მისდევენ, ვისაც არაფერი არ გააჩნია. როგორი მეუფე უნდა იყოს ამ ქვეყნად ის, როცა ღარიბ ღატაკები ახვევია თავზე? ქვეყნიური მეუფება და მისი ძალა მდიდრების ხელშია. ის იძახის, რომ ამ ქვეყნის არაფერი მინდაო; მე ამ ქვეყნისა არა ვარო. შენ მისი მოძმე ხარ, მაგრამ მას არ მიჰყვები.

— ნიკოდიმოსი სდუმდა.

— მესმის, რომ შენთვის ძნელია ასე მოიქცე და არც გამტყუნებ, განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ პილატემ შენც მგლებში სცხოვრობ და მეც.

— მე ძალა უფლება არა მაქვს, ჯარი არა მყავს, უფროსობა ჩვენებში მაქვს, ჩემი ხმა, უფლება, სუსტია, — უთხრა ნიკოდიმოსმა ხმას იმ წამშივე ჩამაწყვეტინებენ, და სულ ერთია, ვერავის ვერაფერს შევეწევი.

— თუ იერუსალიმში აჯანყება მოხდა, კაიაფა და სინედრიონი ამას უთუოდ მოახდენენ, დამნაშავე კი მე ვიქნები და როგორ შეხედვენ ამ აჯანყებას? აღელვებით სთქვა პილატემ.

— ცოტა გამბედაობა უნდა გქონდეს, პილატევ—უთხრა ცოლმა: — შენ ნამეტანი მშიშარა ხარ და გაუბედავი. საწამებლად მიეცი ბარნაბა, რომელიც ამაჯანყებელიცაა და მკვლელიც. შეგიძლია განა მკვლელი გაათავისუფლო და უდანაშაულო დასაჯო?

პილატემ უნებლიეთ ამოიხვნეშა.

— შენ ქალი ხარ, შენ ითვლები კეისრის მოადგილის ცოლად, რადგანაც მისი ცოლი ხარ. შენ არ ზიხარ მსაჯულის სავარძელზე სამსაჯულოში, არ იცი სამსახურის ანგარიშები და შინაური პოლიტიკის საქმეები. ამ პოლიტიკის მიხედვით ხანდახან მკვლელებს ამართლებენ და უდანაშაულოს სჯიან. მაგრამ მე სრულიადაც არ ვფიქრობ მის დასჯას, მე ერთხელ კიდევ გავალ მათთან, გავიყვან მართალ კაცს და ერთხელ კიდევ ვეტყვი მათ, რომ დამნაშავეთ ვერ ვსცნობ, მაგრამ თუ...

— მაგრამ, რას ამბობ? თუ, რაო? — ჰკითხა ცოლმა

— თუ არ დამიჯერებენ, მე ხელს დავიბან.

IV.

გულდაწყვეტილი და დიდათ შეწუხებული გამოვიდა ნიკოდიმოსი პილატეს სახლიდგან.

ფარისეველი და ებრაელთა უფროსი, იგი საიდუმლოდ, ღამ-ღამობით, დადიოდა იესო ნაზარეველთან და ეცნობდა მის მოძღვრებას ნიკოდიმოსს დიდი ადგილი ეჭირა, მდიდარი და დიდათ პატივცემული იყო, ცხოვრობდა იგი, როგორც მის წრეს შეეფერებოდა, სარწმუნოებასა და ჩვეულებას მტკიცედ იცავდა, კეისრის წინაშე მიღებულს ფიცს არ სტეხდა. ის ს მართლიანად, წესიერად და ბედნიერად ცხოვრობდა. რომელ წრეშიც დაიბადა და ალიზარდა, მისი განსაზღვრული შეხედულება, წესი და საქციელი შეთვისებული ჰქონდა, მაგრამ კაი ხანია იყო მშიშარა ომისაგან, სულის სიმშვიდე დაკარგა მას და რაღაც აწუხებდა. ვინ იყო ეს კაცი, რომელიც მის ქვეყანაში მოსულა, ყველასათვის შორეული, უცნობი, მაგრამ ამავე დროს ყველასათვის მახლობელი, არც მმართველი, არც უფროსი, არც მოხელე, არც მხედარი, მაგრამ უბრალო კაცი სიტყვიერი და აზროვანი, რომლის სიტყვამაც ღრმად შესცვალა ნიკოდიმოსის ცხოვრება. უწესო და ურიგო არაფერი უქნია ნიკოდიმოსს, ის ისევე ისე იქცევა, როგორც ყოველთვის აქამდე იქცეოდა, სცხოვრობს იმ წესით და რიგით, როგორც წინათ სცხოვრობდა როგორც სახლში, ისე სამსახურში, წესიერად და რიგიანად ასრულებს ყოველსავე საქმეს, მაგრამ სული მისი აღშფოთებულია, „ჩინოვნიკი“, გამგე კაცი, თავისი ფარისევლური თვალსაზრისით ყველაფრის გამზომი, კმაყოფილი თავისი მდგომარეობითა, და ბედნიერებით, ნიკოდიმოსი ვერ ჰბედავს გამოთქვას ცხადათ, თუ რა აშფოთებს მის სულსა და გულს. რაღაცა ძირითადი განსხვავებაა ნიკოდიმოსის, მისი წრისა და იესო ნაზარეველს შორის, ეს განსხვავება იესოსი ეწინააღმდეგება ნიკოდიმოსის ფარისეველთა საზოგადოებას. ნიკოდიმოსი რომ ცხადათ იესოს მოწაფედ გამხდარიყო, მა

---

*) ჩვენ გვგონია, რომ სრულიადაც საჭირო არ არის აჭარა-ლაზისტანში ქართველმა კაცმა აწარმოვოს რაიმე სარწმუნოებრივი კომბინაციები ვაი თუ ამან გააგულგრილოს ჩვენდამი ძველი ქართველი-მაჰმადიანები. მათში ჩვენ უნდა შევიტანოთ მხოლოდ სწავლა-განათლება და გავაღვიძოთ ეროვნული სული. **რედ.**

კაცობა ძველებური გაკაჟებული,
რჯვება, ჩვეულებრივ, ძლევამო-
ლ.
ა და ვარდი, ნარგის-ზამბახი, რაც
მშვენიერს, სიამაყეს აძლევს ქვეყანას,
ხომ წინაპრების გულ-მკერდზეა აღ-
ლი, გახარებული?!
ახარებდა, აქ დაღვრილი იმათი
ლი და ნიადაგსაც უმძლავრებდა იმა-
ქალები?.
მ, დაიცვევი, ღვთის მშობელო, ჩვენი
ნა!
ბლის მორევში ნუ დაახრჩობ, იკმარე
ლა?!
მარე, ამოდენა, შვილებთა სხვერპლი,
ბის ცრემლი,
ვრივ-ობლების კვნესა-გოდება?!
ათავა. თაფლომ ლოცვა შეწყვიტა.
ერ კიდევ ბავშვები ეკლესიიდან არ
ლიყვნენ.
თაფლო იქვე, ხატის წინ ტახტზე და-
ფრებლად წამოწვა
ხრებს ისევ გუგუნი გაჰქონდათ.
თაფლო ღრმა ფიქრებში გახვეულიყო.
ალდგომის ფიქრებს შორის წაეყვანა:
ისი ქმარი, ჯარში წასული ოფიცერი,
მისი სიყვარული, პირველი კოცნა,
ლ-ქმრული მეგობრობა, თვალ წინ
ქა.
განსენდა მისი ყოველწლივ, აღდგომა
ს სუფრის გაწყობა, შვილებში მხია-
ობა, შექცევა, სიცოცხლის სიტკბო-
ს გაუმაძღრობა.
აგონდა მხიარულებით სავსე პირის
მისი ოჯახში შემოსვლა და „ქრისტე
და" გალობით ოჯახში გამხიარუ-
ბა...
აგონდა და მარტო, გულამომჯდარმა
ლომ სადღესასწაულო ზეიმით შეია-
ბულ ზარების გუგუნს, თავის ცხარე
ლებში გაბანილი ტირილი შეუერთა.
როდა თაფლო მარტო, ხანგრძლივათ
ხანს.
ლიურმა შრომამ, მწარე ფიქრებმა
თაფლოც მოქანცა
ლილობამ მოადუნა მისი ნერვები ..
ლე თაფლოს ნატირალ თვალებს შავი
უთოები ჩამოეფარენ.
ემლი შეაშრეს, თბილ საბანში,
ეს და მოასვენეს.
რამ საბრალო თაფლოს არც ძილი
და მოსვენებული.
ძღაუწუმ კვნესოდა, კრუსუნობდა,
ჯებოდა
ერ, კლდიდან კლდეზე მკაცრათ
ხს, გაშმაგებული მდინარე. .
ვებულ მის ზვირთებში, აგერ, ეგერ,
ან მკვდრების გვამები ..
ერ, თავი! ეგერ ფეხები! აგერ, მთლად
რებს მკვდარს ეს მდინარე?!
ას თაფლოც ხედავს, ეძებს მის თედოს.. გული უძგერს, არ შეხედოს; არ გამოიცნოს?!

ეგერ, ბრძოლის ველი .. ველის ახლოს ჩაბნელებული, მიუვალი ჰაობები, აყროლებული!?.

ჰაობიდან გაისმის უცნაური კვნესა .. მწუხარების, მწარე ტკივილის გამომხატველი!..

— აჰ! აჰ! ვაჲ დედა! დედა, მიშველე! ვკვდები, ვინ ხარ ქრისტიანი, მიხსენ, მომხედე?!

— სუ! სუ! ეს რა ხმა მესმის... თაფლო ყურს უგდებს. კიდევ კვნესა და კვნესაში თხოვნა მოისმის:

— თაფლო, სულიკო! სად ხარ, მიშველე! სად გიკვდება, უპატრონო შენი თედო, შენს მკერდს გარეშე?!

— აქა ვარ, თედო! ნუ გეშინია! აქა ვარ აქ, შენთან მოსული?!

ჩემს მკერდზეა მიყრდნობილი შენი გულმკერდი.

შენს დაჭრილ მკერდს მალამოს უცხებს აქ ჩემი მკერდი!.

ნუ კვნესი, მაგრათ ჩამეკარ! მაგრათ ნუ გეშინია, სიკვდილს ნუ ელი?!

მე შენთანა ვარ, შენთან ჩემო მწველო, ჩემო სიცოცხლე!...

სთქვა ეს თაფლომ და ვითომ დაჭრილი თედო მკერდზე მიიკრა

გადაეხვია, მოინდომა მაგრათ ეკოცნა, რომ უცებ გაისმა ბავშთა კივილი:

— ქრისტე აღსდგა! დედა მოვედით, მოდი გვაკოცე!!

თაფლო უცებ შეკრთა და გაიღვიძა!.

ბავშვები მართლა მოსულიყვნენ ეკლესიიდან. გაწყობილ სუფრას მოჯდომოდნენ და თავისებურ ალტაცებით ჰკვეიკობდნენ მხიარულობდნენ!..

თეოფ. ხუსკივაძე

ინგლისელი.

გემი ნელ-ნელა შემოდის ნავთსაყუდელში ფარნები ვით უხილავი გველეშაპის პატარა თვალები ჩნდება ზღვა ჩუმია. იგი არც კი მოსჩანს, მოსჩანს მხოლოდ ხელისგულივით სწორი შავი სივრცე, რომელიც უერთდება უცნაურ კვლავო და უმთვარო ნაცრისფერ ცას, ნაპირზე ყავახანაში ზის საზოგადოება ჩვეულებრივ უფერული და ულიმღამო ჩვენს გვერდით სუფრას მოუსხდა სამი ინგლისელი ზღვაოსანი. ერთი მათგანი ძლიერ ყმაწვილია და მშვენიერ შთაბეჭდილებასაც ახდენს. ოქროს ხუჭუჭი თმა, ლმობიერი და ენერგიული გამომეტყველება, თხელი ტუჩები, ტკბილი ხმა, მარდი მიხრა-მოხრა, მაღალი ტანი — მომხიბვლელი, შავი ტუჟურკა და თეთრი წაღები და შალვარი თეთრი ქუდი შავი არშიით; მოკლე, ფერდზე ჩამოკიდებული ბებუთი — ყველაფერი უხდება.

ჩვენს სუფრას მოუახლოვდა ერთი ნაცნობი ქალი.

ყმაწვილი ოფიცერი, რომელიც ენატკბილობით ემუსაიფებოდა ამ ანაგებს, შეაჩერდა ახლად მოსული ჯერ კიდევ ფეხზე მდგომ ქალს.

ქალი გვეპატიჟებოდა გავისეირნოთო.

ინგლისელი მარდათ წამოდგა მოგვესალმა ხლოვდა ერთი მეომრის სალამი მოგვცა და მერმე თითქოს ჩვენ იქ არც კი ვყოფილიყოთ დამტვრეულის რუსულით ქალს მიმართა.

— ქალბატონო. უკაცრავად მაგრამ, პირველად ჩემს ცხოვრებაში ვნახე თქვენისთანა ქალი და პირველად ვგრძნობ ძალას, რომლის წინააღდგომა არ შემეძლო... ხელს გთხოვთ. მე გიცდი რამდენს ხანსაც გნებავსთ.. ცნობებს ჩემზე, თუ აქ არ კმარა ჩემი ამხანაგები და გემზე მყოფი უფროსები, ბათომის კონსულისაგან გაიგებთ. ჩემთვის სულერთია, ვინც უნდა ბრძანდებოდეთ თქვენ .. ჩემთვის საკმაო თქვენი თანხმობა და თქვენში გამოსახული ალმოსავლეთის ზღაპარი ჰეშმარიტად სპილოს მოუტანია თავისი ეშო, ყორანს ფრთა, ირემს ყელი, ვეელს მოქნილობა, მარჯანი ტალღას, რომ შეექმნა უცოდველ მიწას ცის მიმზიდველი ჯადო — ქალი და ეს ხელი კი არა ხუთ თავიანი პოემა არის" - და ინგლისელმა მოწიწებით აილო ხელზე აკოცა - არა! — ეამბორა — არა! — ემთხვია. ინგლისელი ისე გულწრფელათ ლაპარაკობდა, ისე სადათ, თითქოს ასედაც უნდა ყოფილიყო: სიტყვა ვერვინ გააწყვეტინა, ხელი ვერვინ შეუშალა. თვით მისი მეგობრები გაკვირვებული უცქეროდენ და, რადგან ენა არ იცოდენ, ვერ გაეგოთ, რაში იყო საქმე

— მე გათხოვილი ვარ! — უპასუხა ქალმა და მის სიტყვებში თითქოს სიხარული იხატებოდა.

— უკაცრავათ!

ინგლისელმა მეომართა სალამი მისცა ქალს, შეტრიალდა და ნავისაკენ წავიდა.

ამხანაგები უკან დაედევნენ. ნავმა გასწია გემისაკენ.

რამოდენიმე წუთის შემდეგ გემიდან მოისმა საყვირის გამაფრთხილებელი ხმა.

საჩქაროთ დაბრუნდა ნავი.

— რა მოხდა? რა ამბავია?

— თავიანთ ექიმს უძახიან ..

ინგლისელის ერთი ამხანაგი მოვიდა საჩქაროთ ჩვენთან

ყმაწვილმა რომელიც ეხლა გაგეცნოთ თავი მოიკლა; თქვენ სამახსოვროთ ეს ბეჭედი გამოგიგზავნათ; მოგახსენათ, ბეჭედი უკანასკნელი წერტილი იქნება მშვენიერი ხუთ თავიანი პოემისო...

ინგლისელი შებრუნდა.

და სანამ ვინმე პასუხს მოასწრებდა ნავში ჩაჯდა ექიმთან ერთად, რომელმაც მოირბინა საყვირის ხმაზე.

— რა ვუყო ეხლა ამ ბეჭედს? — იკითხა ქალმა.

პასუხი ვერავინ მიეცით

ქალმა გაიკეთა ბეჭედი, მართლაც რაც ბუნებას შეექმნა, ის ოქრომჭედლის ხელოვნებას დაეგვირგვინებინა, პოემის ღირსი იყო საუცხოვო წერტილი

— იცი, რა კოჭ? ამ ბეჭდის ტარება უხერხულია, წაიღე და გაყიდე...

— გავყიდო?.. ხუმრობ?

— სრულიადაც არა. ვხუმრობ! .. მაშ რა იყო?

— რაც გინდა. — ჯავრით და გესლით უპასუხა ქმარმა ქალს მოიძრო თავისი ჯვარის წერის ბეჭედი გადაუგდო ქალს და უთხრა:

— შეგიძლია ესეც გაჰყიდო. მშვიდობით

სამუდამოდ დაშორდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს.

ნ. დ

ბ-ნ გრიგოლ რობაქიძის ლექცია.

ბ-ნი რობაქიძე ამ ბოლოს დროს თავისავე ნებით აწვრილმანებს და ამდაბლებს თავის თავს.

რაში ვხედავთ ჩვენ ბ-ნ რობაქიძის თავის დამცირებას? აი, მაგალითად, თუნდ იმაში, რამაც აიძულა იგი წაეკითხა ლექცია „ცისფერი ყანწების" შესახებ

ამ ალმანახის გარშემო ატეხილი უსიამოვნო [illegible] შესამსუბუქებლად ბ-ნი რობაქიძე როგორც ერთი მონაწილე კრებულისა, იძულებული გახდა საჯარო ლექციით თავდა საცველი სიტყვით მიემართა ქუთაისის საზოგადოებისათვის.

რას მიაღწია თავის ლექციაში ბ-მა რობაქიძემ? მიაღწია სწორედ მას რასაც დაგვპირდა ესე იგი საკითხზე „ცისფერი ყანწების" ღირებულების შესახებ ჰოც ბრძანა და არაც. ლექციის უფრო გაბედული და ძალდაუტანებელიც ადგილი იყო მეორე ნაწილი როდესაც ლექტორი შეეხო სიმბოლიზმსა და ხასიათებას და ბ-ნთ დოროხოვანიძის, ტაბიძეების, ჭუმბაძის, გაფრინდაშვილის და სხვათა ნაწარმოების გარჩევას. აქ ბ. რობაქიძემ საკმაო მასალა ამოკრიბა ალმანახის ამ ზოგიერთ ავტორთა ნიჭისა და ღირებულების დასაფასებლად.

ამგვარი დახასიათება კრებულის ზოგიერთ ავტორისა სრულ სამართლიანად მიგვაჩნია. მაგრამ სანამ ამ დასახელებულ პირთა ნაწარმოებს მიაღწევდეს მკითხველი, მას წინ ეჩხირებიან ისეთი დაბალ ღირსების ნაწარმოებები, რომლის შესახებაც უმთავრესად ასტეხა ალმანახს საერთო უარისყოფა. ამ საკუთრივ მხარეს, სამწუხაროდ ბ-მა რობაქიძის ნაწერმა ყურადღებამაც ვერაფერი შესძინა. საზოგადოდ ეს ადგილი ლექციისა მეტად ძნელი გამოდგა ავტორისათვის და ისე სუსტი როგორც ამ ადგილზე იყო ბ-ნი რობაქიძე, თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჯერ იგი არავის ახსოვს

ეს სწორედ ის ადგილი გახლავთ, სადაც ლექტორი ზოგიერთ ნაწარმოებს ალმანახისას ერთდროულად იწონებს და იწუნებს, ჰოსაც ამბობს და არასაც მაგრამ უფრო იგი უახლოვდება უარყოფის ვიდრე დადებითი მხარეს. ბ-ნ იაშვილის მანიფესტში ბ-ნი რობაქიძე მხოლოდ ემანსიპირებულ გატაცების ნაყოფსა ხედავს. ქ-ნ დარიანის ლექსებში ნაჭიერ ავტორს ეძებს ხოლო თვით ლექსების შესახებ აცხადებს ზომიერების საზღვარ გადაჭარბებულად მიმაჩნიათ.

გრიშაშვილის შესახებ ხომ ვიცით და ვიცით, რომ რაოდენობა ამ მგოსანს მეტი აქვს, მაგრამ როდესაც ბ-ნი რობაქიძე მხოლოდ ამ ავტორის ლექსს „სასანთლე [illegible] მან წაიკითხა მხოლოდ [illegible] მართლაც ულამაზესი ადგილი და შესწორებით იქ სადაც ეს თავდაწერილი ალმანახისათვის საკადრებელია.

აღსანიშნავია რომ არც ერთი ადგილი „დაწუნებული ნაწარმოებიდან ბ-მა რობაქიძემ ილუსტრაციად ან სანიმუშოდ არ მოიყვანა, ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ლექტორი წინდახედულად სცდილობდა მსმენელთა შორის უკმაყოფილების ტემპერამენტი არ გამოეწვია და ამიტომაც ლექციის დასწყისშა ხაზგასმით აღნიშნა თქმულება: „ზრდილნი არიან იმერნი". ჩვენ სიამოვნებით ვამოწმებთ, რომ ეს იმერული ზრდილობა საზოგადოებამ ბოლომდე რაინდულად დაიცვა

ამრიგად ბ-მა რობაქიძემ სრულიადაც ვერ შეათხელა ის ბურუსი, რომელიც „ყანწების" მთავარ ნაკლულოვანებას გარს ახვევია.

მართლია, ალმანახში მაგა და მაგ არის ნათელი ადგილები, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ თქმულება მთისა: „რადა იგი სანათლე, რასაცა ახლავს ბნელი"!

ჩვენ არ ვისურვებთ ფერად სათვალეებს ცისფერი ყანწების ღირსების გასარჩევად.

ჩვენ მივესალმებით სრულიად უბრალოდ, შეუფერადებლის თვალით ჩავხედავთ ამ ყანწებში მოთავსებულ სასმელს და აღმოვაჩენთ, რომ მაგ ტკბილ სასმელთან ერთად არის ძირმწარეც შერეული ჩვენ ვემდურებით, ნუ აწვდით ბატონებო ქართველ ხალხს ამ მომწამლავ სასმელს. ნუ უწვდით ხელს, რომ მისი დასნეულებული სხეული მთლად მოწამლოს.

ბ-ნი რობაქიძე დაგვპირდა, რომ როდესაც „ცისფერი ყანწები" თავის მოვალეობას ვეღარ შეასრულებს ჩვენ თვითონ დავამსხვრევთ მას. ეს ძლიერ სასიამოვნო განმარტებაა, მაგრამ „ცისფერმა ყანწებმა" თავისი ახლანდელი სახით უკვე ვერ შეასრულა თავისი დანიშნულება, მას უნდა ჩამოეცალოს დასნეულებული ნაწილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ხალხი და მისი ჯანმრთელობის გულშემატკივარნი იძულებულნი იქნებიან შეუბრალებლად დაამსხვრიონ „ცისფერი ყანწები" და მეუფებულად სასმელი უკანვე დაუბრუნონ მათ შემქმნელს ..

ჯაფარ-ფუშა

უცხო სტუმრები,

(საალდგომო ფიქრები)

ის იყო ლამპარი უნდა ჩამექრო და დაძინებას ვაპირებდი, რომ ოთახის კარები გაიღო და ნელის ნაბიჯით ოთხი უცნობი პირი შემოვიდა ხმის ამოუღებლად ისინი ჩამოსხდენ სკამებზე. მიავლ მოავლეს თვალები ოთახის მოწყობილობას და რამდენჯერმე ამხედ დამხედეს

ერთ სტუმართაგანს სულ ბავშის სახე ჰქონდა. დამჯდარიც დიდხანს არ ჰყოფილა მიირბინა ოთახის კუთხეში, მერე მაგიდასთან მოვიდა, ამინგრია წიგნები, გადაათვალიერა წერილები, მიახტა კედელს: ჩამოიღო სურათები მოირბინა ჩემთან ჩამხედა თვალებში და უცნაურად გადიკისკისა.

მეორე სტუმარი იქნებოდა ოცდა ათი წლის კაცი. მის ლამაზსა და სანდომიან სახეზე ჰკროთოდა სათნოება და სიყვარული.

ხომ მთელი საზოგადოება მას დაემ-
ებოდა. ნიკოდიმოსი ერთობ მორი
ული, ფრთხილი კაცი იყო და ვერ
ედა, თავისი თავი იესო გალილეველ
მოწაფედ გამოეცხადებინა. სწუხს
დიმოსი, რომ საზოგადოება უსამარ
დ და მტრულად ეპყრობა იესო ნა-
ელს. არ იმჩნევს თავის აღშფოთე-
ა შეუმჩნევლად ღამ-ღამე დაიარება
ს სანახავად, ჩინოვნიკი, შეძლებუ-
ხანაში შესული კაცი, ღამით, რო
გაუბედავი ბავში, დგას ყველას-
ულნობ, გადამთიელის და ამასთანა-
ელსათვის მახლობელი კაცის წინა-
ა ჰკითხავს, როგორც მოძღვარს:
შეიძლება განა მოხუცი განახლდეს
შვილდეს? ნუ თუ შესაძლებელია მე-
დაიბადოს; შევიდეს დედის საშო-
მეორედ იშვას.
ვარი უპასუხებს; — ხორციელად შო-
არს ხორცი, სულიერად ნაშობი
ული. ნუ გაკვირვებს ჩემი ნათქვა-
ელი უნდა იყოს ზეგარდამოშობი
ული ყველგან სუნთქავს, სადაც
ებს, ხმა მისი ისმის, მაგრამ არ
საიდან მოვიდა და სად წავა, ამ ნაი-
ველი სულიერად ნაშობი.—
როცა ნიკოდიმოსი ბრუნდება ი-
ლგოძიდან შიშითა და კრძალვით
ება იქით აქით, რომ არავინ შემჩნი-
თუ მე იესო მქადაგებელთან ვი
თითქოს მასში ორი სხვა და
ცი ლაპარაკობდა. ერთი ამბობს:
უნდა იყოს ზეგარდამოშობილი სუ-
რომელიც ყველგან სუნთქავს. სა-
მას სურს". მეორე კაცი მიწასთან
ებს ნიკოდიმოსს, შიშის ზარს სცემს
ს კი განითდება და ჩვეულებრი
ურება დაიწყებს დენას, მაშინ ნი
მოსი იმ კაცად ხდება, რომელიც
ებურის სიტყვებით, ჩვეულებრივს აზრებს ამბობს და თუ რამე თავისუფალი აზრი წარმოსთქვა, იმ საზღვარს მაინც არ გადასცდება, რომ საწინააღმდეგო მისი წრის იქნეს.

— სული ყველგან სუნთქავს, სადაც მას სურს და ზეგარდმო უნდა იყოს შობილი — ამას იმეორებს თავისთვის. ეს აზრი არ აძლევს მას მოსვენებას ღამით და არ ეძინება, თვალი ვერ დაუხუჭავს დღისით თავის მეგობრებსა და ამხანაგებში დაღვრემილი იმას ფიქრობს, რომ ერთხელ ვარ ნაშობი ხორციელად და არა ორჯერ კიდევ ზეგარდამოშობილი

ნიკოდიმოსი განსაცდელშია. არაფერშია დამნაშავე, მაგრამ რაღაცა აწუხებს. თავს რაღაც ბრალდებულათ ჰგრძნობს უნდა იყოს ბრალდებული, მაგრამ ცხადათ ვერ გამოუთქმელი ვნებაა:

— სული სუნთქავს ყოველგან, სადაც მას სურს. —

ამ აზრით გაჟღენთილი, თავ დახრილი, პილატეს სახლიდან მიდიოდა, იმ დღის წინა საღამოს, როცა იესოს საქმე უნდა გადაეწყვიტათ.

V

განვლო ორმა დღემ. ნიკოდიმოსი იჯდა თავის ოთახში ჩაკეტილი

საღამოს ჟამი მოწეული იყო დღე ლამეს ეყრებოდა სიბნელე ერეოდა სინათლეს და რა საშინელებაც უნდა მომხდარიყო ამ დღეს, მოხდა, ყველაფერი დადუმდა. თითქოს თვით ყველაფერი მოღვრემილი იყო ხეებზე ფურცლები არ ინძრეოდენ და სიბნელის მოახლოვება გულს აწუხებდა.

ეს დღისა და ღამის გაყრა, ლაჟვარდოვანი ცა წითლად შეღებული ზოლები ცის კიდეზე, რომელნიც ნიკოდიმოსს დანთხეულ სისხლს მოაგონებდენ და ღრღნიდენ ნიკოდიმოსის სულსა და გულს.

ნიკოდიმოს ჯვარცმას არ დასწრებია. ის მხოლოდ თავის ფანჯარას მიმდგარი შორიდან უყურებდა თხემის ადგილზე მიმავალს ხალხს. დაინახა ეს ხალხი მომდინარე, მყვირალა, როგორც მრავალ თავიანი და მრავალხმიანი მხეცი, ბრბო და ამ ღელვარე ბრბოს, წინ ბუნდათ მოსჩანდა კაცი, რომელსაც უმძლებელი ჯვარი მხარს გაედვა, მისი ცხადათ დანახვა კიდეც ეშინოდა ნიკოდიმოსს

მხედრების შუბები ირხეოდა ბრბოს ზემოთ: მოულოდნელად გაირბინა ნიკოდიმოსის ფანჯრის წინ ორმა შიშითა და მწუხარებით თავზარ დაცემულმა, მისმა ნაცნობმა ქალმა. ნიკოდიმოსი მიმალული იყო კუთხეში; ამ ქალებს ის არც დაუნახავთ, რადგან მათ მხოლოდ ჯვარი და მისი მტვირთველი აინტერესებდათ როცა ხალხის მიმოსვლა შეწყდა და ქუჩები სულ ერთიანად მიყრუვდა, როგორც ეს მოხდება ხოლმე, როცა ხალხს რაიმე დიდი სანახაობა იზიდავს, ნიკოდიმოსი დარჩა მარტოდ მარტო და მისი არსება მარტოობის საშინელებამ შეიპყრო. საზარელი აზრები მოუვიდა თავში. უნდოდა თავი გაენთავისუფლებია მათგან, მაგრამ ჯვარი და რაც მაზედ უნდა მომხდარიყო, თავიდამ არ შორდებოდა მას

ჯერ ჯალათის მუშაობა, მერე ჯვარზე გაკვრა, ზედ წვალება და ბოლოს სიკვდილი

ამ სიჩუმესა და მყუდროებაში უცბად ჩამობნელდა, უცბად გაიელვა, დაიქუხა და შეარყია ნიკოდიმოსის სახლიც, ქუჩებიც და როგორც ნიკოდიმოსმა იგრძნო თითქმის მთელმა ბუნებაც. მერმე შექნა საშინელი ელვა და ქუხა. შესწყდა და ყველაფერი მიწყნარდა. მაგრამ ნიკოდიმოსი ვერ ისვენებდა, ხან დაჯდებოდა, ხან ადგებოდა და გული უწუხდა და სული ეხუთებოდა. გავიდა რამოდენიმე ხანი და ქუჩა ისევ ახმაურდა დაბრუნებულან ქალები და კაცები, დიდი და პატარა, ზოგი ჩაფიქრებული, ზოგი ხმამაღლა მოლაპარაკე და ქუჩაში ჩვეულებრივი ცხოვრება დაიწყო

მოვიდა ნიკოდიმოსთან ერთი მოსამსახურეთაგანი, რომელიც ჯვარცმაზე დასასწრებლად წასულიყო, მას არ შეზარებოდა ეყურებია მართლის წვალებისთვის, იესოს მწუხარებისათვის, ყველაფერი ენახა და თავის ბატონს დაწვრილებით უამბო ყოველივე

VI.

კარგად რომ შეღამდა, ჩუმად მოვიდა ნიკოდიმოსთან ნაზარეველის მეორე საიდუმლო მოწაფე - იოსებ არიმათიელი და უთხრა:

— წავიდეთ პილატესთან და ვსთხოვოთ, რომ მიცვალებული დასამარხავად მოგვცეს —

— „წავიდეთ" — უთხრა ნიკოდიმოსმაც.

ადგენ და ორივე გაუდგენ გზას, მაგრამ აქით იქით იხედებოდენ, - არავინ დაგვინახოსო.

პილატეს სახლი სიჩუმითა და სიბნელით იყო მოცული: ეს კი საიდუმლო მთხოვნელებისთვის კარგი იყო.

შეუგზავნეს მსახური მთავარ მმართველს; მან ამბავი მოუტანა — მობძანდითო

შევიდენ პილატე აღელვებული წინ და უკან დაიარებოდა თავის ოთახში.

როგორც კი დაინახა სტუმრები, პილატემ რამდენჯერმე სიჩქარით და აღშფოთებულის ხმით უთხრა:

— მე ხელი დავიბანე, მე ხელი დავიბანე, ბრალს ვერ დამდებთ — მერმე ჰკითხა:

— რა გნებავთ? —

მათ უპასუხეს:

— ნება მოგვეცი ჯვარცმული ჩამოვხსნათ და ჩვენის წესისამებრ დავმარხოთო

პილატეს ცოლმა, რომ სტუმრების მოსვლა გაიგო, დაუყონებლივ შევიდა პილატეს ოთახში და უთხრა მათ:

— მე მოგცემთ თქვენ შესაწირავს სუნნელოვან ნელსაცხებელისათვის მისა პოვნად; განსვენებაზე დასასწრებად წამომყევით

— არა, არა — უთხრა პილატემ: — გთხოვ ეგ არ ქნა, თორემ ცუდი რაიმე შეიძლება მოხდეს. მეჭორე ვინმე შეთხზავს რასმე, დამაბეზღებს, ვითომც კეისრის ღალატში ვერიო. არა, არა! შესაწირავი მიეცი, მაგრამ, გთხოვ, შინ დარჩე შენ მოხელე კაცის ცოლი ხარ და არაფერს საიდუმლო კრებაში მონაწილობა არ უნდა მიიღო. შენის მხრით შეწირულების გაღება სრულიად საკმაოა.

უცბად ისევ აღელვებული ხმით წამოიძახა:

— მე უბრალო ვარ მისი სისხლისაგან: მე ხელი დავიბანე.. მე ხელი დავიბანე...

— —

ნიკოდიმოსმა და იოსებ არიმათიელმა გარდმოხსნეს ჯვარცმული იესო. წაასვენეს არჩეულს ადგილს, წესისამებრ დასამარხავად თან მოტანილის ნელსაცხებელით შემურეს და შესუდრილი კუბოში ჩაასვენეს დაესწრნენ განსვენებაზე დიდად მწუხარე მგლოვიარე დედა ჯვარცმულისა, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალინელი.

შუაღამე იქნებოდა, როცა ამ განსვენებაზე დამსწრენი, ჩუმად შინ წამოვიდნენ. გათენდა და ნიკოდიმოსი შეუდგა თავის ჩვეულებრივ საქმიანობას.

სტ. ხოჯავანიშვილი.

ნის ცისფერი თვალები ნათლად მოწმობდენ, რომ მას ავის ჩქმნა არ შეეძლო და ბოროტება მისს გულში ვერ დაისადგურებდა. თავჩაღუნული ილაქირებოდა იგი ძირს და ლერწმის ჯოხით, რომელიც ხელში ეჭირა, იატაკზე რაღაცას სწერდა. ხანდისხან თუ ასწევდა თავს ზევით, მხოლოდ იმიტომ რომ გადაეწია წინ ჩამოსული გძელი თმა დრო-გამოშვებით ყრუდ ამოიგმინებდა ხოლმე, თითქო რაღაც მწუხარებას უნდა ამოხეთქოს მისს გულიდანაო.

მესამე იყო ახოვანი, ტანადი და ბრგე ვაჟკაცი. სახის მოყვანილობა ისეთი ლამაზი და სწორი ჰქონდა, რომ მე ისეთს არც კი შევხვედრივარ იმედი და გატაცება ეხატებოდა სახეზე. ტანთ-ეცვა ძველი ბერძნული სამოსი და ფეხებზე კი სანდლები.

უცნაური მოყვანილობა ჰქონდა მეოთხეს. იგი იყო გამხდარი, უფერული: ასე გვეონებოდათ: ვილაცას ცარიელ ძვლებისთვის თხელი ტყავი გადაუკრავს და ეს საოცარი ადამიანი გაჩენილაო. ტანზე ეცვა შავი ტანისამოსი; პირისახეც ნახშირივით შავი ჰქონდა; მაგრამ თვალები კი ჭრელი და ისეთი საშინელი გამომეტყველებისა, რომ ძნელად თუ ვინმე დაუმაგრდებოდა. შეგხედავთ ეს ,,შავი კაცი'' და იფიქრებდით, რომ მან უკვე ჩაიხედა თქვენს სულში და იქ წერებულიც ყველაფერი ამოიკითხა.

ბავშმა ჩემთან მოირბინა, ხელი გაიშვირა და მითხრა:

— ხედავ იმას?

— რასა?—შევეკითხე მე ცოტა გაკვირვებით.

— რასა და აი იმას—მითხრა მან ხელმეორედ აბა ამიწერე რასაც ხედავ.

ჩემ თვალთა წინ გამოჩნდა საუცხოვო სურათი.

— მთვარიანი ღამეა—დავიწყე მე ეზოში სიარული ალვის ხეები ნაზად ირხევიან, იასამანი გაშლილა, ვარდის ბუჩქზე, ეშხით დამთვრალი, ბულბული გაჰკივის თავის ,,ტიატის''. სახლის წინ აივანზე, ზის ახალგაზდა ასული და თავი ხელზე დაუყრდნვია იგი რაღაცაზე ოცნებობს და ფიქრობს.

— როგორია ის? ლამაზია?

— საუცხოვოა. მთვარის შუქზე ისე მოსჩანს იგი, ვით ღმერთი მშვენიერებისა შავი კუნაპეტივით თვალწარბი, ლამაზი ფუნთუშა ლოყები, თითქო განგებ დაქანდაკებული ხელის თითები... ყველა ერთად კი ,,სიცოცხლე და ნეტარება''.

— გამიგონე!—მითხრა ბავშვმა იგი ეძებს მონათესავე სულს მე გავაბამ ძაფებს სიყვარულისას თქვენ გულთა შორის და ორთავეს ბედნიერათ გაგხდით: ერთად შეუღლდებით და მერე ვერავინ ვერ დაგაშორებსთ ხომ კარგი იქნება?. ხომ?.. .ხომ?...

— გეყოფა, ამურ! ეხლა მე მაცალე! წამოიძახა ,,შავმა კაცმა ზეზე წამოიჭრა...

მან ხელის გული ტუჩთან მიიდვა და ჩურჩულით წარმოსთქვა რაღაც მისებური სიტყვები.

სწრაფად ჩემ თვალ-წინ სურათი გამოიცვალა.

მე ვხედავდი მდიდრულად მორთულ ოთახს ოთახში ახალგაზდა ქმარი ეალერსებოდა ლამაზ ცოლს. კისკისებდა ცოლი და ეშმაკურად ნაბავდა თვალებს. ხანდისხან კი ქმარს კისერზე მოხვევდა ხელებს და ისეთი გრძნობით აკოცებდა, ხოლმე თითქო უნდოდა ტუჩები მის ტუჩებთან გადაეწება, აი ქმარი გამოემშვიდობა ხელში პორტფელი აიღო და ოთახიდან გავიდა.

— რას ნიშნავს ეს სურათი? ვკითხე მე ,,შავ კაცს'' და მინდოდა მისთვის სწორედ შემეხედნა, მაგრამ როგორც კი მივაცქერდი; საშინლად გამაჟრჟოლა, ველარ გავუძელ მისს თვალთა ელვარებას და თავი ძირს დავხარე.

— ქალი, აი ის ასულია წელან ამურმა რომ გიჩვენა, ვაჟი კი შენა ხარ სურათი წარმოადგენს თქვენ ყოფას ჯვარის წერის შემდეგ.

— ახ! რა კარგია! ღმერთო ჩემო! წამოვიძახე მე და აღტაცებით ტაში შემოვკარ.

— მოითმინე ცოტა სიხარული ნაადრევია—მითხრა მან—აბა, შეიხედე კიდევ ოთახში, ვის ხედავ?

— ისევ იმას, ჩემ ღვთაებას! მოეწყინა უჩემოდ წიგნი გადაშალა და ჰკითხულობს. მალ-მალე აბნებს კითხვას თავს და სარკეში იცქირება. ახ! ქალები! ქალები!. რა რიგ აფასებენ თავიანთ სილამაზეს! კარები გაიღო და ვილაც ახალგაზდა შემოვიდა ქალმა წიგნი მაგიდაზე ისროლა და ყელს გადაეხვია როგორ გაგიჟებით ჰკოცნიან ერთმანეთს... უთუოდ ეს ვაჟი ძმა იქნება ჩემი ცოლისა. უთუოდ დიდი ხანია არ უნახავს. რაღაცას ლაპარაკობენ... ჩუმად! ნუ ცელქობ შენ მანდ ბავშო!

ქალი: ძლიერ არ გავისტუმრე, ის სულელი! დარწმუნებულია, უყვარვარო ნეტავი, ჩემო გიჟო, შეგახედა: რა უშნო ალერსი იცის. (აჯავრებს) ,,ჩემო ლამაზო'' ,,ჩემო კარგო!''! ფუ! აბა შენსავით კარგი კი არ არის. დაგენაცვლოს ჩემი თავი (კოცნა).

— ახ! ღმერთო!—წამოვიძახე მე გაბოროტებულმა და მაგიდაზე ხელი დავარტყი. შეინძრა მაგიდა და ლამპარი აკანკალდა; დავეყრდენი ხელებზე და თავი მწარე ფიქრებს მივეცი

— გამიგონე, ასწიე თავი მაღლა. აი შეხედე რა სურათი გიჩვენო!—აღარ მეშვებოდა „შავი კაცი".

მე თავი მაღლა ავიღე და მივაცქერდი. ჩემს წინ იყო სასაფლაო პატარა ხნის შემდეგ სასაფლაო შეინძრა. ზედა პირი მიწას ასცილდა და აეყუდა ისე, ვით კედელი. გამოჩნდა თეთრებში გახვეული მიცვალებულები ზოგი ახლად გარდაცვალებული იყო და ზოგი დიდი ხნის.

ახ! რა საოცრად დაუჭყეტია აგ, იმას თვალები. იქ კი ვილაც ქალს ცხვირ პირი სულ ერთიანად გადაღეჭია. ჰა, ერთი რანაირად დაობებულა უჰ! რამდენი თეთრი ჩონჩხებია!...

შეხეთ, ღვთის გულისათვის, როგორ დაძვრებიან მატლები! გველებიც მიიკლანკ-მოიკლანკებიან. აქ არავინაა მათი ნავარდობის დამშლელი. სუუ! სუ!—სისინობენ ქვეწარმავალნი და ცოცხალთა ჯავრს მიცვალებულებულებზე იყრიან..

„შავმა კაცმა" ხელი დამიდვა ერთ მიცვალებულზე. ქალი იყო იგი. თვალები ჩაცვენილი ჰქონდა; ტანისამოსი დამპალი; ხორციც უთუოდ მთლად გაიხრწნებოდა. მოზრდილ გველს თვალის ხვრელში ჩაედვა თავი და გასუქებულ კუდს სიამოვნებით აქეთ-იქით აქანებდა.

— აი ეს მიცვალებული ის ასულია, შენ რომ შეგიყვარდა და რომლის სილამაზემაც ასე გაგაგიჟა ჩამძახა მან, ხელი გაიქნია და სურათიც გაჰქრა.

მთლად ავერეოლდი, ავკანკალდი და მზად ვიყავ ბავშივით დამეწყო ტირილი მაგრამ ზეზე წამოდგა სანდომიანი სახის კაცი მშვიდათ მხარზე ხელი დამადო და თავის ცისფერ თვალებით ლმობიერად შემომხედა.

— აიღე ეს წიგნი გადაშალე და წაიკითხე—მითხრა მან და ხელში წიგნი მომცა.

წიგნი გადავშალე და კითხვა დავიწყე.. ვკითხულობდი დაბალი ხმით და სიტყვები მალამოსავით ეცხებოდა გულს,

„გესმა, რამე თუ თქმულ არს: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გეტყვ თქუჱნ: არა წინა-აღდგომად ბოროტისა, არამედ, რომელმან ჰცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯვენესა, მიუპყარ მას ერთ კერძოცა.

და რომელსა უნდეს სასჯელად და ნილებად კვართი შენი, მიუტევე მას სამოსელიც შენი...

გიყუარდეთ მტერნი თქვენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქვენთა, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუჱნთა, და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობდენ თქვენ და გდევნიდენ თქვენ"..

შემდეგ გადავშალე ცოტა ქვევით.

„ხოლო იესომ ჰრქვა მას: შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა, და ყოვლითა გონებითა შენითა

ესე არს დიდი და პირველი მცნება.

და მეორე მსგავსი ამისი: შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი".

მან წიგნი გამომართვა და დახურა.

— გიყვარდეს ეგ წიგნი. ამაშია ნაჩვენები ის გზა, რომელსაც ადამიანი სასუფეველში მიჰყავს. იცი. რა არის სასუფეველი?—მკითხა მან და, როდესაც უარის ნიშნად თავი გავაქანე, ჩემ წინ გამოჩნდა სურათი.

დღე იყო, მხოლოდ მთვარიანი ღამე კი გვეონებოდათ... ზეცით იჯდა უფალი; მის გარშემო კი მსუბუქ ფრთებით დაფარფატობდენ ანგელოსები და ჰგალობდენ საუცხოვო საგალობლებს. ლანდებივით დადიოდენ ადამიანები.., აქ ვერ გაარჩევდით სქესს, ყველანი ერთად საუბრობდენ, მხიარულობდენ და იქვე მოჩხრიალე მდინარეში ტანს იბანდენ ხოლმე ლომები, ვეფხვები ხარები და ცხვრები ერთად სძოვდენ ბალახს და ერთმანეთისა სრულიადაც არ ეშინოდათ. ათასგვარი ჩიტები ხის მწვანე ტოტებზე თავისუფლად დახტოდენ და საუცხოვ ჭიკჭიკით, აყრუებდენ არე მარეს.

— ასეთი სურათი მარტო სიზმარში თუ მინახავს! წამოვიძახე მე

— აი აქ დამკვიდრდებიან ხოლმე სულნი მათნი, რომელთაც სიცოცხლის გზა სიმართლით გაუვლიათ.

— იიშუ!—მრისხანედ წამოიძახა „შავმა კაცმა უხიდელათ ხელი მოჰკიდა და მოაბრუნა სტყუი შენ! იქ არაფერი არ არის!-ჰეჲ-შეუბერა სული მან სურათს და მსწრაფლ დაბნელდა.

— ხედავ რამეს, მომაკვდავო?—შემეკითხა იგი.

— ვერაფერს!

— აი რა გელის შენ სიკვდილის შემდეგ, გინდ ავაზაკი იყავ და გინდ ანგელოსი. გინდ კეთილი ჰქმენ და გინდ ბოროტი... რის სასუფეველი?! რა სასუფეველი?!

როცა იიშუ ფეხ-აკრეფით მომშორდა, მოვიდა ჩემთან მეოთხე სტუმარი და მკვეთრი ხმით მითხრა:

სწერე, რაც შეგიძლია ბევრი სწერე განაგრძე ეგ შენი გზა- იცოდე რომ გელის დიდება, პატივისცემა და მუდამ ხსენება. ეხლა კი აი ეს სურათი ამიწერე

— ღამე ღარიბულ ქოხში ლამპართან ზის პატარა გოგო და წიგნს კითხულობს ირგვლივ სხედან მოხუცი ქალები და კაცები რამდენიმე ბავშიც ყურს უგდებს კითხვას... ახ! ეს რა ამბავია!... მკითხველი ქალი ჰქვითინებს, მოხუცებულები თვალებზე მომდგარ ცრემლებს იწმენდენ, პატარა ბავშვები კა ხმა-მაღლა სტირიან...

— ისინი ჰკითხულობენ შენ წიგნს, შენი სიკვდილის რამდენიმე ხნის შემდეგ უყურე; როგორ აჰქვითინდა ეს ხალხი. აი რა შეუძლია ნიჭს, ნამდვილ ნიჭს...

— ნამდვილ ნიჭს! ნამდვილ ნიჭს! აპოლონ, არა? ჰა, ჰა, ჰა!—გადიხარხარა „შავმა კაცმა" თავხედურად დამადო ხელი თავზე, მერე ჩემს თვალებს შეეხო და მევიხილე:

მიწური ქოხი, რომელშიაც სინათლე პატარა სარკმლიდან ჩადიოდა ლოგინზე იწვა დაგლეჯილ საბანში გამოხვეული ავადმყოფი და საშინლად ძაგძაგებდა საბნის ზევით მისთვის დაფლეთილ პალტო გადაეხურათ. ავადმყოფი იქნებოდა ოცდაათი—ოცდა თოთხმეტი წლის კაცი: ეტყობოდა აღსასრული მოახლოვებოდა და მალე წუთისოფელსაც მოახლოვებოდა დამტვრეულ მაგიდაზე მიყრილი იყო გაზეთები და წიგნები. ერთი კუთხე სავსე იყო წამლის შუშებით. ავადმყოფის სარეცელთან იდგა ათი წლის პატარა გოგო, თავზე სველ ტილოს აფენდა და ანუგეშებდა:

„ნუ გეშინია, ძია! შენ უეჭველად მორჩები აი მიყურე თუ არ მორჩე. იცი, ძია, წუხელის რა მესიზმრა? ვითომ, შენ კარგად იყავი და მე ზღაპრებს მიამბობდი მერე მე, ვითომ, გავიქეცი ბაღში, თაიგული გავაკეთე და მოგიტანე შენ გაგიღიმე შუბლზე მაკოცე, მერე გამომართვი ხელი და წავედით ქალაქს გარეთ სასეირნოდ ,. რად ჰკვნესი ძია? შენ მორჩები დედა ნუ მომიკვდება მორჩები?

— ეს პატარა ქალი ჩემი ნათლულია, მაგრამ რა უნდა აქ? ეს საცოდავი კაცი ვინ არის?—წამოვიძახე ხმა მაღლა

— ეს შენ იქნები თუ აპოლონის მიერ ნაჩვენებ გზას დაადგები... ახლა ამას შეხედე...

მე ვიხილე:

ნესტიანი, ბნელი სარდაფი. რომელშიაც დაულალავ ობობას ათასნაირათ გაეხლართ—გამოხლართა ქსელები... უთვალავი დანესტიანებული და დამპალი წიგნები ჰყრია იატაკზე.

მე დავაცქერდი ყდას და ამოვთვალე: თ—ხზულებ—ა—ნ—ი მერე ჩემი სახელი და გვარი.

— უტყუარი ნიჭი! ნამდვილი ნიჭი! ჰა, ჰა, ჰა, დამხარხარებდა თავზე „შავი კაცი".

სული შემძვრა ფიქრები, ვითა ყორნები, მეხვეოდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მწარედ ვიტანჯებოდი და ბოლმა მაღრჩობდა.

ველარ მოვითმინე, თოფ-ნაკრავივით ზეზე წამოვხტი და შეშლილივით დავიყვირე:

ვინა ხარ შენ, ბოროტო, ასე რომ მტანჯავ? რა უფლების ძალით შემოჭრილხარ აქ, დაუპატიჟებელო სტუმარო, და დასეირნობ ჩემს სულზე? რად მართმევ ნეტარებას? მითხარი: რა დამიშავებია შენთვის? ეხლავე მიბრძანდით გესმის, ეხლავე! ღმერთო! აღარ მშორდები? ამურ! აპოლონ! იესო! მომეხმარეთ... დამიხსენით?

„შავი კაცი" ხარხარებს, ამური წყნარად ზის, აპოლონს სახეზე მწუხარება გადაჰკრვია, იესოს კი ლაპა ლუპით ჩამოსდის ცრემლები. თავს ბრუ დამესხა, გონება წამერთო და უგრძნობლად იატაკზე ტყლაშანი მოვადინე.

აბესალომ ტაბიძე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

იტალიის ასპარეზი.

რომი. 7 აპრილი. ალპების მსროლელთა რაზმმა ბრძოლის შემდეგ დაიკავა მაღლობი ,,3402'' 6 აპრილს მტრის საიმპერატორო ჯარმა, ჩვენზე იერიში მოიტანა, რაიც მათ სრულ დამარცხებით დამთავრდა, ბრძოლის ველზე მათ ბევრი მოკლული დასტოვეს, ჩვენ ტყვედ წამოვიყვანეთ 11 ოფიცერი და ხელთ ვიგდეთ სამხედრო მასალა. მტრის კოლონა, რომელიც სიფას სდარაჯობდა ჩვენ გავფანტეთ.

დანარჩენ ფრონტზე შესამჩნევი არაფერი მომხდარა

მესოპოტამიაში.

ლონდონი. ბრძოლის პირზე წყალდიდობა და ქარიშხალია. ტიგრთან ჩვენ ოსმალეთა ჯარს უკან დავახევინეთ.

ინგლისის სადმირალო იუწყება, რომ 5 აპრილს ინგლისის რამდენიმე ჰაეროპლანი თავს დაეცა ოსმალეთის ქალაქებს (ადრიანოპოლს და სტამბოლს), სადაც მიუხედავად ცუდა ამინდებისა, ყუმბარები მარჯვედ ჩამოჰყარა,

ბალკანეთის ასპარეზი.

გევგელთან მცირე შეტაკება მოუვიდა ფრანგებისა და ბულგარლების მოდარაჯე რაზმს. ამ მოკლე ხანში ელიან სალონიკზე საერთო იერიშის დაწყებას.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. არგონებში მოლენკურის ტყესთან ჩვენ მტრის მიერ გაკეთებული გზა გავაფუჭეთ.

მაასის აღმოსავლეთ ნაწილში დუომონთან განუწყვეტელი ბრძოლაა, სხვა ადგილებში დღემ წყნარად ჩაიარა.

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. ბელგიელთა ოფიციალი ცნობა საარტილერიო ბრძოლა ცხოველდებოდა, განსაკუთრებით დიქსმიუდესთან.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო".

ამზადებს
მოწაფეებს საშუალო
სებისათვის და აგრეთვე
სალდ გამოცდ მისათვის.
პირობები გ გება შეიძლება საღამოს 4—7
იმდის შემდეგი მისამართით: თბილისის
ბლი გიორგი გურგენიძესა.

ბებია მ. მ. ქიხრეი
ულის ყვავილს, უკეთ
ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და
ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დრო
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახ
ფედიაშვილის მაღაზიის პირდაპირ.

იყიდება ბალახვანის შესახ
ში, ალექსანდრო
ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახ
ადგილები.
მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე,
113 სახლში №3 1—

ბეითალი პ. პ. ნიჟრომ
ლეჩულობს მოს
ჩენით ავადმყოფ ცხოველებს დილის 9
10 საათამდი და საღამოს 3—6 სა
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა, სახლი
ვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის
დაპირ.

ექიმი ა. მ. ახათიანი. განაახლა
მკურნების მიღება (ქალთა
რიულ და შინაგან ავადმყოფების ყოველ
დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7
ათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ.
11 სახლი № 2.

ექიმი მულიძე. ყელის, ცხ
ყურების ლეჩულობს ავა
ფებს ნაშუადღევს 2—3 საათამდი, საღამოს
8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრ
10 ფარიძისა.

ექიმი ი. ჩარჩაეგი ქალაქ
მეთ ორდინატორი.
ლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყ
ბის მიღება ახალ ბინაზე, დილით 12 —
საღ. 6—8 საათ. მისამართი:
ალიბეგოვის სახლში.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი
ბავშთა და შინაგან სნეულ
ავადმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და
მოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის
14 46, ტელეფონი № 87.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე ბოკაია
ელექტრონისა და სინათლის
ბინეტი.
შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფ
მიღება დილით 9—12 საათ. საღ. 6—8 სა
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი

მიღებულია.
ძმ. ქორქოლაძეების მაღაზიაში (მიხეილის ქუჩა საკუთ. სახლი.)
აბრეშუმის თესლი
ცნობილი ფრანგული ფირმის რუსეთში ფერანაგენტრანის რომელიც შე
წმებულია და მოწონებულია თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ და კოლოფ
აქვს მთავრობის შემოწმებული თეთრი ბანდეროლი პარტიის მყიდველს დაეთმო
ფას დაკლებით.
დააჩქარეთ თესლის შეძენა.

ავადმყოფნი გონორეი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.**

ბლენიოზოლი შედგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საქმით პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ჰაჭების და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ხდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან განთავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმიო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ

პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ვექიმა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სიამე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი გიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უმორჩილესი **ია. ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)

[illegible] სტამბა ალ. კობრიძისა — ქუთაისში.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.